საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2028-02
15/08/2022

სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში“ „ERP“ სისტემის შესყიდვის მოდულის მომსახურების ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ”ზ” ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული, სსიპ “ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების’’ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის ”თ” ქვეპუნქტის საფუძველზე, 2022 წლის 15 აგვისტოდან 29 აგვისტომდე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების დროებით განსახორციელებლად მოვალეობის შემსრულებლისა და კორესპონდენციაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ 12/08/2022 N 1991-02 ბრძანების, სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის გიორგი ქობულაშვილის 2022 წლის 8 აგვისტოს N11123-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში“ „ERP“ სისტემის შესყიდვის მოდულის მომსახურების ინსტრუქციები ამ ბრძანების დანართების (სულ 8 დანართი) შესაბამისად.
2. ბრძანებით გათვალისწინებულმა „ERP“ სისტემის შესყიდვის მოდულმა ფუნქციონირება დაიწყოს 2022 წლის 18 აგვისტოდან.
3. 2022 წლის 18 აგვისტოდან ნებისმიერი საქონლის და/ან მომსახურების შესყიდვის მოთხოვნა/წარდგინების დაწერა შესაძლებელი იქნება მხოლოდ შესყიდვების ელექტრონული მოდულის მეშვეობით.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსს გიორგი ქობულაშვილს.
5. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ბრძანებით გათვალისწინებული ტექსტის განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
6. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ეს ბრძანება გააცნოს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს/სკოლებს და ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

სოფიო გაჩეჩილაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი